საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/1 " 14 " იანვარი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიღებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2018 წლის 25 დეკემბრის №06-8890 წერილით მომართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა თანხმობა სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონების (მდებარე ქ. თბილისი, პეკინის ქ. №29) სარგებლობის უფლების 2 წლის ვადით გაგრძელების თაობაზე.

სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლის სარგებლობაში არსებული ზემოაღნიშნული ქონება, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის 2016 წლის 15 თებერვლის №02 568, №02 569 და №02 570 ბრძანებების საფუძველზე, გადაცემული აქვს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს დროებით სარგებლობაში 3 წლის ვადით. არსებული რეალობის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ფუნქციონირებისათვის, მიზანშეწონილია აღნიშნული ქონება მომდევნო 2 წლის განმავლობაში დარჩეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები ზემოაღნიშნული ქონების მომდევნო 2 წლის ვადით სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დროებით სარგებლობაში გადმოსაცემად.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი